სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია

1. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:**
   ფსიქოლოგიის დოქტორი – სოციალური ფსიქოლოგია/ პოლიტიკური ფსიქოლოგია/კულტურული ფსიქოლოგია

2. **პროგრამის ხელმძღვანელი**
   ასოცირებული პროფესორი შალვა აბზიანიძე

3. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

პროგრამის მიზნები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების სრული კურსის გავლის და სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ დოქტორს ექნება არჩეულ დარგში ღრმა თეორიული ცოდნა, კვლევის მეთოდებიისა და სტატისტიკური ანალიზის გამოყენების უნარ-ჩვევები და უმაღლეს სკოლასა და სხვა შესაბამის ორგანიზაციებში მუშაობის კომპეტენცია.

სწავლის შედეგი:

სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სადოქტორო

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- უნდა ფლობდეს საფუძვლიან, ღრმა ცოდნას სოციალურ, პოლიტიკურ და/ან კულტურულ ფსიქოლოგიასა და მეცნიერების მოსაზღვრე დარგებში;
- უნდა ფლობდეს უმაღლეს სკოლაში სალექციო კურსების მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე წარმართვის უნარ-ჩვევებს.

4. **დასაქმების სფეროები**
   კურსდამთავრებულებს, რომლებმაც გაიარეს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა, შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ საქმიანობა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის პერსპექტივით, ასევე იმუშაონ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში, ანალიტიკურ ცენტრებში, პოლიტიკური პარტიების აპარატებში, მასმედიაში, არაასამთავრობო ორგანიზაციებში და ყველგან, სადაც ხდება სოციალური, პოლიტიკური, ეთნო-კულტურული ინფორმაციის შეგროვება, პროცესების ანალიზი და

შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და მნიშვნელოვანია პიროვნული, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინება.